სოციალური და კულტურული პროექტების სტუდენტური კონკურსი

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია უკვე მეორედ აცხადებს **სოციალური და კულტურული პროექტების სტუდენტურ საგრანტო კონკურსს.**

2024 წელს, აკადემიაში შეიქმნა სოციალური და კულტურული პროექტების სტუდენტური ინიციატივების მხარდამჭერი საგრანტო პროგრამა, რომელსაც მართავს სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული კომისია. კომისიის მიზანია ინტერ და ტრანს-დისციპლინური ინიციატივების გაძლიერება ჯანდაცვის სფეროში არსებული კომპლექსური გამოწვევების გადასაჭრელად, რაც სრულ თანხვედრაშია აკადემიის მისიასთან — ემსახუროს საზოგადოებას და სარგებელი მოუტანოს საზოგადოებას.

სოციალური და კულტურული პროექტების სტუდენტური საგრანტო პროექტი უნდა შეესაბამებოდეს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებიდან (SDGs) მინიმუმ ერთს (https://sdgs.un.org/goals) და/ან ეხმიანებოდეს თსა-ს სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულ ერთ-ერთ მიმართულებას:

1. საზოგადოებრივი ჩართულობა;
2. ჯანმრთელობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება და ადვოკატირება;
3. გარემო და პლანეტური ჯანმრთელობა.

საგრანტო წინადადების პირობები

წარსადგენი დოკუმენტები:

1. შევსებული საგრანტო განაცხადის ფორმა (იხ. დანართი);
2. პროექტის განხორციელების სამოტივაციო წერილი (შეიძლება მომზადდეს ინდივიდუალური განმცხადებლის ან სტუდენტური გუნდის მიერ), სადაც აღწერილი იქნება პროექტში მონაწილე სტუდენტების როლები და პასუხისმგებლობები;
3. პროექტში მონაწილე პარტნიორი ორგანიზაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანამშრომლობის სურვილის დამადასტურებელი წერილი(ები).

საგრანტო წინადადების საბოლოო წარდგენის ვადა: 2 მაისი, 2025 წელი

განმცხადებელი:
განმცხადებელი უნდა იყოს თსა-ს სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი. პროექტში მონაწილე პირების როლები და პასუხისმგებლობები დეტალურად უნდა იყოს გაწერილი.

მისასალმებელია თსა-ს აკადემიური ან მოწვეული პერსონალის ჩართულობა მრჩევლის როლში, რაც ხელს შეუწყობს აკადემიური კულტურის განვითარებას და ინსტიტუციური ერთობის გაძლიერებას.

პროექტის ხანგრძლივობა:

მინიმუმ 3 თვე, მაქსიმუმ 6 თვე.

პროექტის განხორციელების პერიოდში განმცხადებლები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ პროექტის პროგრესის შუალედური და საბოლოო ანგარიშები პროექტის ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

ბიუჯეტი:
თითოეული პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 3000 ლარს. ბიუჯეტი არ ითვალისწინებს სახელფასო ჰონორარს. გამარჯვებული პროექტის ავტორებთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

შეფასების ფორმა:
შეფასება განხორციელდება 1–3 ქულიანი სკალით, სადაც:
1 — მიუთითებს ყველაზე დაბალ ქულას,
3 — მიუთითებს საუკეთესო ქულას.

შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც იხელმძღვანელებენ კომისიის წევრები:

1. **საზოგადოებრივი სარგებელი** - რამდენად მოუტანს შემოთავაზებული საპროექტო იდეა სარგებელს საზოგადოებას?
2. **ორიგინალობა** - არის თუ არა შემოთავაზებული იდეა ახალი და საინტერესო?
3. **წინადადების დიზაინი - არის თუ არა წინადადება მაღალი ხარისხის** (კარგად სტრუტურირებული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, კარგად დასაბუთებული)
4. **პროექტის განხორციელების შესაძლებლობა (feasibility)** - არის თუ არა სამუშაო გეგმა მკაფიო და შეუძლია თუ არა განმცხადებელს მიაღწიოს დაპირებულს?
5. **რეკომენდაცია** - რეკომენდაციას გაუწევდით თუ არა პროექტს დასაფინანსებლად?
6. **საერთო შეფასება** - განმცხადებლის და საპროექტო წინადადების შესახებ მოკლე მიმოხილვა, ასევე არის თუ არა რაიმე შემოთავაზება (როგორიცაა როგორ გააუმჯობესოს წინადადება, თუ ის გადაწყვეტს ხელახლა გააკეთოს განაცხადი).

ასევე, განხილვისას გათვალისწინებული იქნება სტუდენტების პროფესიული პროფილი — პროფესიონალიზმი, აკადემიური მოსწრება, კვლევითი და ექსტრაკურიკულური აქტივობებში ჩართულობა.

საგრანტო წინადადებები მიიღება არა უგვიანეს 2025 წლის 2 მაისისა შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: studentgrants@tma.edu.ge. გამოგზავნილი წერილის სათაურში (Subject line) მითითებული უნდა იყოს: **„Student Competition of Social and Cultural Project“.**

ინფორმაცია გამარჯვებული პროექტების შესახებ გამოქვეყნდება თსა-ს ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: studentgrants@tma.edu.ge